განხილულია სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ პედაგოგიური საბჭოს 2021წლის 1სექტემბრის სხდომაზე,ოქმი N1

*დამტკიცებულია სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ დირექტორის **2021** წლის 11 სექტემბრის №----------ბრძანებით*

(ხელმოწერა) ბ.ა.

კათედრის დებულება

საგნობრივი კათედრების მუშაობის მიმართულებებია:

- *საგნობრივი ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია*
- *გამოცდილებების გაზიარება*
- *სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების შერჩევა*
- *პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა*
- *პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები*
- *ახალი მიდგომები*
- *ურთიერთთანამშრომლობა კათედრებს შორის*

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1.1 *ეს დებულება განსაზღვრავს სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა “ანაბასისის” საგნობრივი კათედრების რაოდენობას, განსაზღვრავს კათედრების მუშაობის ძირითად მიმართულებებს, კათედრების თავმჯდომარეების არჩევის წესსა და მათ უფლება მოვალეობებს.*

სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა:

- *სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.მოიცავს შემდეგ საგნებს ქართული ენა და ლიტერატურა , მე და საზოგადოების , ჩვენი საქართველო, ისტორია , გეოგრაფია , სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება.*
- *ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;*

მოიცავს შემდეგ საგნებს: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სამედიცინო ბიოლოგია. .

- *უცხოური ენების კათედრა;*

მოიცავს შემდეგ საგნებს: ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა.

- *სპორტისა და ესთეტიკური მეცნიერებათა კათედრა;*

მოიცავს შემდეგ საგნებს: სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.

- *დაწყებითი კლასების კათედრა;*

აღნიშნული კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფში ყველა მასწავლებელს.

მუხლი 2. საგნობრივი კათედრების ფუნქციები

2.1 *საგნობრივი ჯგუფის სწავლების კოორდინაცია, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;*

2.2 *მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება, ანალიზი და შენახვა;*

2.3 *წევრის არჩევა მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფიში.*

2.4 *ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება- ზრუნვა მასწავლებების პროფესიული განვითარებისათვის;*

2.5 *სახელმძღვანელოების, სხვა სასწავლო რესურსების შერჩევა, რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნების შესახებ;*

2.6 *საგნების მიხედვით სასკოლო გეგმების შედგენა, სასწავლო კურიკულუმებისა და მატრიცების შექმნა, კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვა, შეფასების კომპონენტების შემადგენელი კრიტერიუმების შემუშავება და აღწერა;*

2.7 *სხვადასხავა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ინტეგრირებული გაკვეთილების და წლის განმავლობაში ჩასატარებელი სხვადასხავა სახის ღონისძიებებისა და პროექტების განრიგის დაგეგმვა და ა.შ.*

2.8 *მასწავლებელთა სტატუსის შესაბამისად ჩასატარებელ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკის შედგენა და შედეგების განხილვა -შეფასება,უკუკავშირის გაკეთება.*

2.9 *სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. სასკოლო პროექტში, სარაიონო,რესპუბლიკურ და გლობალურ კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა.*

2.10 *კათედრები შემოიღებენ თითოეულ საგნობრივ ჯგუფებში, კლასის და საფეხურის მიხედვით, საუკეთესო მოსწავლის პრიზს, რომელიც ამ მოსწავლეებს გადაეცემათ სასწავლო წლის ბოლოს საზეიმო ცერემონიალზე.*

მუხლი 3. კათედრის მუშაობის ძირითადი პრინციპები

3.1 *კათედრის სხდომები ტარდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრის პირველ სხდომაზე აირჩევა კათედრის თავმჯდომარე და მდივანი. კათედრები განიხილავენ საგნობრივი პროგრამების შესაბამისად სასწავლო რესურსებს, შეფასების რუბრიკებს, კომპლექსური დავალებების და მინიმალური შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს და სხვ.*

3.2 *ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე ხდება საგანმანათლებლო სტანდარტის , სამიზნე ცნებების დაძლევის განხილვა. ამ დროს ხდება პრობლემის გამოვლენა და შეფასება,შესაბამისი სამოქმედო გეგმის შედგენა.*

3.3 *წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს :*

- *სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, სამიზნე ცნებები, რომლის შეფასებასაც ითვალისწინებდა კონკრეტული შემაჯამებელი /კომპლექსური დავალება;*
- *კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;*

- *მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა;*
- *თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები ;*
- *წარმოდგენილი შემაჯამებელი წერების ანალიზზე დართული მასწავლებლის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია მოსწავლის პროგრესი და რეგრესი კონკრეტულ საგანში. განსაზღვრულია პრობლემა და აღნიშნული აპრობლემის გადაჭრის გზები.*

მუხლი 4. კათედრის თავმჯდომარე

4.1 *კათედრის წევრები როტაციის პრინციპით ერთი სასწავლო წლის ვადით ირჩევა კათედრის თავმჯდომარე. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.*

4.2 *კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:*

- *კათედრის სამუშაო წლიური გეგმის შედგენა;*
- *კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება);*
- *საგნობრივი ჯგუფების გადაწყვეტილებების გაცნობას კოლის დირექციისათვის;*
- *პროფესიული განვითარებისათვის სასრგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.*
- *კათედრის თავმჯდომარის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, გაკვეთილზე დასწრება მონიტორინგის მიზნით.*
- *კათედრის თავმჯდომარე არის სკოლის განვითარების ჯგუფის წევრი. ახორციელებს კათედრაზე შემავალი მასწავლებლების შეფასებას გაკვეთილზე დასწრებითა და ჩატარებული შიდა და გარე ღონისძიებების მიხედვით, დაკვირვების შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენს განვითარების ჯგუფი ყოველი სემესტრის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოს.*
- *კათედრაზე შემავალი საგნების მონიტორინგის ჩატარების ანგარიშს წარუდგენს კათედრის თავმჯდომარე განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელს.*
- *საგნობრივი ოლიმპიადების, კონფერენციებისა და კონკურსების ანგარიშს წარუდგენს კათედრის თავმჯდომარე განვითარების ჯგუფს სასწავლო წლის ბოლოს.*

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება პედ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად.